სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

14 ნოემბერი 2023

N 21/9866

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს
ბატონ ნიკა ბოლქვაძეს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო ნიკა,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10199 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩაზე, მდ. ბჟუჟის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2023 წლის 21 სექტემბრის №21/8518 წერილში მითითებული რიგი საკითხები:

- გამოთვლების შედეგად მიღებული მდინარის ხარჯი არ შეესაბამება ფორმულაში შემავალი რიცხვითი მნიშვნელობებით მიღებული ხარჯის სიდიდეს;
- კონსტრუქციულ ნაწილში წარმოდგენილი მდინარის ზოგადი მაქსიმალური წარეცხვის დონის სიდიდე საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, არასწორად არის მითითებული ფორმულაში შემავალი სიდიდეები (მდგრადი კალაპოტის სიგანე, მდინარის 10% უზრუნველყოფის ხარჯი და სხვა.);
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საპროექტო დამცავი კედლის მდგრადობის დასაბუთება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო